პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

# კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების — და — სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლ. პარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.

ტელეფ. ) რედაქტორის 14—76 ) წერილის 10—58 ) ღამის მორიგეს 13—30.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექტ. № 24, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელებს, მოწაფეებს და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებულ განცხადებისთვის ფასის იფის 10% საკლდება...

ხუთშაბათი, 23 თებერვალი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 45 (2088)

წითელი არმიის ათი წლის თავი

საბჭოთა კავშირისა და მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური პროლეტარიატი აღფრთოვანებით ზეიმობს დღეს გმირული წითელი არმიის სახელოვანი არსებობის, ბრძოლებისა და ბრწყინვალე გამარჯვებათა ათი წლის თავს.

შინაური კონტრ-რევოლიუციის და ევროპის იმპერიალისტების შავ ურდოებთან ომის ქარ-ცეცხლში იშვა და დავაჟკაცდა ის, იქცა მრისხანე ძალად, რომელიც სდარაჯობს დღეს თავის სოციალისტურ სამშობლოს, მუშურ-გლეხურ საბჭოთა დიდ კავშირს. ძლიერია და უძლეველი ის თავისი მიზნების შეგნებით და ამავე მიზნებისათვის მებრძოლი საერთაშორისო მუშათა კლასის აქტიური თანაგრძნობით, დაჩაგრული კოლონიალური ხალხების სიყვარულით. დიდი რევოლიუციონურ ომების გმირია ის წარსულში, მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის მონაწილე აწმყოში და მას უცდის მომავალში უდიდესი მსოფლიო ისტორიული ამოცანები-მონათმფლობელი მსოფლიოს დანგრევისა და სოციალისტური რევოლიუციის საბოლოო გამარჯვების. ლენინის კომუნისტურ ინტერნაციონალის ხელმძღვანელობით, მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატის და დაჩაგრული ერების დახმარებით ის გაიმარჯვებს ისევე, როგორც გაიმარჯვა წარსულში.

## საქართველოს ყველა მუშებს და მშრომელ გლეხებს

ამხანაგებო! დღეს შესრულდა ათი წელიწადი, რაც ჩვენი გმირული და სახელოვანი მუშათა და გლეხთა წითელი ჯარი არსებობს.

ჩვენი მხურვალე, მძური და ამხანაგური სალამი უდიდესი...

თანახმად ლენინისაგან მიცემულ ანდერძისა მუშათა კლასის და კომუნისტური პარტიის მეადინებათა მეობრებით საბჭოთა ხელისუფლებამ აღადგინა სახალხო მეურნეობა და უკვე შეუდგა მის გადაკეთებას სოციალისტურ...

გაუმარჯოს მუშათა კლასის მედგარ შეიარაღებულ ძალას! გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ და სახელოვან წითელ არმიას!

## საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო



წითელი არმიის საჰაერო ძალების უფროსი, ს. ს. რ. კ. სამხ. რევ. საბჭოს წევრი პეტრე იონასის ძე ბარანოვი

წითელი არმიის საზღვაო ძალების უფროსი, ს. ს. რ. კ. სამხ. რევ. საბჭოს წევრი რომუალდ ადამის ძე მუკლევიჩი

## ამ.-კავკ. ყველა მშრომელთ

სრული ათი წლის წინად მუშათა და გლეხთა მთავრობამ, რომელსაც მეთაურობდა მშრომელთა ბელადი ვ. ი. ლენინი, შეუდგა რეგულიარული წითელი არმიის შექმნას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად...

უმაგალითოა ის საგმირო საქმეები და უთვალავია ის მსხვერპლი, რომელიც გაიღო მსოფლიოში პირველმა მშრომელთა არმიამ...

არმია არავის დაუთმობს პირველობას ბრძოლებში მშრომელთა დიად საქმისათვის.

გაუმარჯოს წითელ არმიას!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

## ამხ. წითელ არმიელებო, წითელ ფლოტელებო, უფროსებო, კომისრებო და პოლიტმუშაკებო!

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ამიერ-კავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელთა სახელით მუშურ-გლეხური წითელი არმიის არსებობის ათი წლის თავზე გიძღვნით...

...ლის გამოცდილება, გადალახეს ყველა სიძნელენი თავისი მშენებლობის გზაზე, ერთ მწყობრ რაზმად დადგენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთლიან მუშურ-გლეხურ წითელ არმიასთან ერთად.

წითელი არმია არის მშრომელთა არა მარტო მტკიცე დასაყრდენი...

# წითელი არმიის ათი წლის თავი

## წითელი არმიის წინამორბედნი

წითელი არმიის ისტორია არის ნაწილი იმ ბრძოლის საერთო ისტორიისა, რომელსაც პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან ერთად აწარმოებდა თავისი მოსისხლე მტრის—მემამულეების, კაპიტალისტების და მსოფლიო იმპერიალისტურ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ამიტომ ჩვენ შევეხებით მოკლეთ, და ისიც მხოლოდ წითელი არმიის ეხლანდელი მდგომარეობის გასარკვევად, მისი ისტორიის იმ ნაწილს, რომელიც უშუალოდ ახასიათებს მის წარმოშობას, განვითარებას და ზრდას.

ამავე დროს ბოლშევიკები ენერგიულ მუშაობას აწარმოებენ ძველი არმიის სამხედრო ნაწილებშიაც. წინად უცხოსთვის მიუწვდომელი ჯარისკაცთა ყაზარმა ამიერიდან თავისებურ კლუბად გადაიქცა. თუ როგორი იყო ჩვენი გავლენა ჯარისკაცთა მასებზე, სჩანს იქედან, რომ პიტერის ჩვენმა სამხედრო საბჭომ შესძლო 7.000 ჯარისკაცის გამოყვანა პიტერის გარნიზონიდან ლენინის შესახვედრათ 1917 წლის ფინლიან სადგურზე...

## წითელი არმიის მშენებლობის დასაწყისი

1918 წლის დასაწყისში აშკარა გახდა, რომ საჭიროა შექმნა შეიარაღებული ძალის, რომელიც შესძლებს რევოლიუციის დაცვას არა მარტო შიგნით, არამედ საგარეო ფრონტებზედაც. საქმე უაღრესად ძნელი იყო. არმიის მმართველობის აპარატი—ეს სამხედრო მშენებლობის საფუძველი—ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვებოდა. სამხედრო ქონება გვქონდა, მაგრამ მოუქსაქსული იყო, ინახებოდა აღურიცხავად და იტაცებდნენ მას. მწვავედ განვიცდიდით სპეციალისტების ნაკლებობას. 1918 წლის 22 აპ...

...გი, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 400—500 კაციდან არც ერთი არ დასთანხმდა წინადადებაზე რაზმში შემოსვლის შესახებ. კიდევ მეტი, არც ერთმა მათგანმა არ დაიწყო ჩემთან დავა ან თუგინდ ლაპარაკი. „ვეყოფა რაც ვებრძოლეთ“—გაისმა ცალკე ხმები. ამდენ ხალხში არავის არ აინტერესებდა ვინა ვართ ჩვენ, ვის ვებრძვით, ვინ იბრძვის ჩვენს წინააღმდეგ. სროლას ისინი უყურებდენ როგორც რაღაც ჩვეულებრივს, აუცილებელს და ამიტომ ის მათ სრულებით არ აინტერესებდა...



ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲖᲦᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ-ᲠᲔᲕᲝᲚᲘᲣᲪᲘᲝᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘ

ტების მიხედვით და რომელიც რეგულიარულად შევსებულიყო სათადარიგო ნაწილებიდან და სხვა. მატერიალურ და ტექნიკურ მოწყობილობის სიღარიბე, მომქმედ ნაწილების მოწყვეტა საკვებ ბაზისებიდან, ზურგის აპარატების სისუსტე—ყველა ეს და სხვა მიზეზები ხელს უშლიდა დამთავრებულად ჩამოყალიბებულ სამხედრო ნაწილების შექმნას. უმთავრესი მიზეზი კი, რომელიც ელობებოდა წითელი არმიის მწყობრ და გარკვეულ ნაწილების შექმნას, იყო შეუწყვეტელი გააფთრებული ბრძოლა.

...თი). იმპერიალისტებს არ შეეძლოთ გამოეყოთ საკმაო ძალები ჩვენს მოსასპობად ამ ჩვენთვის განსაკუთრებით მძიმე მომენტში.

ლენინი თავის სიტყვაში კონცესიების შესახებ მოსკოვის ორგანიზაციის უჯრედების კრებაზე 1921 წლის 27 ნოემბერს ამბობდა:

„ბრესტის დროს იყო იმპერიალისტურ მტაცებელთა ორი გიგანტიურად ძლიერი ჯგუფი: გერმანია-ავსტრიის და ინგლის-ამე...

## ᲠᲐᲢᲝᲛ ᲒᲐᲕᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲗ?

1918 წლის ბოლოს და 1919 წლის დასაწყისში ...

...ლების და მათი არმიებისა და ბანდების განადგურებას, არამედ ბურჟუაზიისა და მემამულეთა კლასის დამარცხებას. მაგრამ იმის თქმა, რომ წითელმა არმიამ მხოლოდ მიტომ გაიმარჯვა, რომ ის მუშურ-გლეხური არმია იყო და იბრძოდა თავის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, საკმაო არ იქნება. მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ მტრების ძალები იყო უაღრესად დარაზმული და კვალიფიკაციური. მაგრამ წითელი არმია ყოველმხრივ იზრდებოდა, თუმცა განიცდიდა დიდ გაჭირვებას, და საბოლოოდ ყველგან გამარჯვე...

...მოდგომაზე. ამან ჩვენ საშუალება მოგვცა მოგვეკრიბა ძალა და წარმატებით ჩაგვეტარებია 1919—1920 წლის კამპანია. რატომ ვერ გაგვსრისეს იმპერიალისტებმა მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ სრულიად სუსტი ვიყავით?

ამის ახსნას უნდა ვეძიოთ საგარეო მდგომარეობაში. 1917—1918 წ. იმპერიალისტების ბანაკი დაშლილი იყო. ანტანტა და ამერიკა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდნენ შუა ევროპის სახელმწიფოთა ბლოკთან (გერმანია, ავსტრია, ბულგარეთი, ოსმალე...

...გან, მაგრამ ამ მუშებს არ სურთ ჩვენთან ბრძოლა“.

ლენინის ამ სიტყვებს მნიშვნელობა აქვს ჩვენი დროისთვისაც. დეე, იმპერიალისტები თავიდან ფეხამდე შეიარაღდნენ, დეე შექმნან და გაწრთვნან თავისი მეთაურთა შემადგენლობა, დეე შექმნან თავისი ფაშისტური რაზმები. ბრძოლაში ჩვენს წინააღმდეგ მასები იქნებიან ჩვენთან, ჩვენს მხარეზე. ეს წარმოადგენს ჩვენი გამარჯვების ერთერთ ყველაზე უფრო საიმედო საწინდარს მომავალ ბრძოლაში. მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ...

ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია შევასუსტოთ ჩვენი მუშაობის ტემპი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცების საქმეში. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი გამარჯვება „მცირე სისხლის“ ფასით, ე. ი. მინიმალურ მსხვერპლით, როგორც სწერდა ამის შესახებ მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ხუთი წლის თავზე ამხ. ფრუნზე. ეს მოითხოვს არმიის და განსაკუთრებით მისი ტეხნიკის მაქსიმალურ განმტკიცებას.

## ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲚᲘᲪᲘᲝ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲚᲔᲑᲘ

თუ მართალია ის, რომ „ომი არის პოლიტიკის გაგრძელება სხვა საშუალებებით“, მაშინ პროლეტარიატისა და გლეხობის ომი თავის კლასობრივ მტრებთან პოლიტიკის ერთად ერთი საშუალება იყო საბჭოთა ხელისუფლების ისტორიული არსებობის განთიადზე. ამიტომ პარტია და სახელმწიფო ცდილობდ...

...პოლონეთთან დამთავრდა. მთავარი ბანდები განადგურებულ იქნენ. წითელი მებრძოლების შეტევით კრონშტადტში ალებულ იქნა დრედნოუტები. დაიწყო წითელი არმიის შემცირება, რომლის რიცხვმა უდიდეს რაოდენობამდე მიაღწია. მხოლოდ 1923 წელში არმია შემცირდა აუცილებელ რაოდენობამდე...

სწავლამ ამერიკაში (1861—95 წლებში) აიძულა იგი სერიოზულად დაფიქრებულიყო საშიილიციო ჯარების ბრძოლის უნარიანობის შესახებ.

ენგელსი კარლ მარქსისადმი გაგზავნილ წერილში (1868 წ. მარტის თარიღით) აღნიშნავს კარგი კადრების განსაკუთრებულ მნიშვნელობას მილიციისათვის და საინტერესო დასკვნა გამოჰყავს. იგი სწერს:

„ცენტრალური ბრძოლის იარაღების შემოღების შემდეგ წმინდა მილიციის საქმე საბოლოოდ მოისპო. ამით, სხვათა შორის, არ გვინდა ვსთქვათ, რომ ყოველ ნაციონალურ სამხედრო ორგანიზაციას საშუალო ადგილი უნდა ეჭიროს პრუსიულ და შვეიცარიულ სის...

...შემდეგ ნათქვამია, რომ „სამილიციო სისტემაზე გადასვლას უნდა ჰქონდეს აუცილებელი თანამიმდევრობის ხასიათი“.

მე-9 ყრილობა მიმდინარეობდა ისეთ პირობებში, როცა თითქოს ომი თავდებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს პოლონეთმა დაიწყო შეტევა ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ. ომი პოლონეთთან იყო მეტად მძაფრი, შემდეგ ამას მოჰყვა კამპანია ვრანგელის წინააღმდეგ, ბრძოლა ბანდიტიზმთან და, დაბოლოს, კრონშტადტის აჯანყება. ამ ამბებმა შეგვიშალა ხელი განვვეხორციელებია მე-8 და მე-9 პარტყრილობების გადაწყვეტილებანი. წითელი არმია კვლავ რჩებოდა მუდმივ, საკადრო არმიად. სამოქალაქო ომი და ომი...



ᲐᲛᲮ. ᲤᲠᲣᲜᲖᲔ

ამასთან ერთად 1914 წელს არმიებში იყო მხოლოდ ორ-ორი ტყვიამფრქვეველი თითო ბათალიონში ან 24 დაზგიანი ტყვიამფრქვეველი დივიზიაში. აქედან ცხადია თუ როგორ არაჩვეულებრივად გაიზარდა ავტომატიური იარაღის რაოდენობა მსოფლიო ომის შემდეგ. საინტერესოა აგრეთვე გავიხსენოთ, თუ როგორი რაოდენობით იყენებდენ ტყვიამფრქვეველებს წარსულ ომებში და შევადაროთ იმას, თუ როგორი იქნება თეორეტიულად შესაძლო ფრონტი. ციფრები გვიჩვენებს, რომ ტყვიამფრქვეველების რაოდენობა მომავალ ომში 1914 წელთან შედარებით გაიზრდება დაახლოებით ათჯერ, 1917 წლის ივნისთან შედარებით ორჯერ, 1920 წელთან შედარებით—3-4-ჯერ.

ძლიერ გაიზარდა აგრეთვე არტილერია დასავლეთ-ევროპის ყველა არმიებში და ამასთანავე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არტილერიის თვისობრივი მხარე. 75 მილიმეტრიანი საველე ზარბაზნის ყუმბარა ომამდე აღწევდა 7-8 კილომეტრამდე, ეხლა კი 12-14 კილომეტრამდე. შეფარდება ზარბაზნებსა და გაუბიცებს შორის მნიშვნელოვნად შეიცვალა: გაუბიცების რაოდენობა ძლიერ შეიცვალა. განუწყვეტლივ იზრდება მძიმე არტილერიის რაოდენობა და განუწყვეტლივ უმჯობესდება მისი ხარისხი. ტანკები—ეს ტყვიისმფრქვეველთა ბატარეები, რომელთაც იმპერიალისტურ ომში გვიჩვენეს თავისი საშინელი ძალა, ეხლა მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ ყველა არ...



საბჭოთა კავშ. სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს სხდომა ჩრდ.-კავკასიის სამხედრო ოლქის შეერთებულ ნაციონალურ პოლკის წარმომადგენლებთან ერთად ამხ. მ. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘᲡ თანდასწრებით.

# ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ

## Რ. Ს. Ფ. Ს. Რ. ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲐᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1918 Წ. 25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ, Ქ. ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘ

ძველი არმია, მშრომელთა კლასობრივი ჩაგვრის იარაღი იყო ბურჟუაზიის ხელში. როცა ძალაუფლება ხელთ იგდეს მშრომელ და გაყვლეფილ კლასებმა, წარმოიშვა ახალი არმიის შექმნის აუცილებლობა, რომელიც იქნება საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენი აწმყოში, საძირკველი მუდმივი არმიის საყოველთაო სახალხო შეიარაღებით შეცვლისათვის მახლობელ მომავალში და გახდება მომავალი სოციალისტური რევოლიუციის დამხმარე ძალად ევროპაში.

1.

ამის გამო სახალხო კომისართა საბჭო ადგენს: შექმნას ახალი არმია მუშურ-გლეხური წითელი არმიის სახელწოდებით შემდეგ საფუძვლებზე:

1) მუშურ-გლეხური წითელი არმია შეიქმნება მშრომელთა კლასების ყველაზე უფრო შეგნებული და შეკავშირებული ელემენტებისაგან. 2) მის რიგებში შესვლა შეუძლია რუსეთის რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს არა ნაკლებ 18 წლისა. წითელ არმიაში შედის ყველა ის, ვინც მზადაა თავისი ძალ-ღონე, თავისი სიცოცხლე შესწიროს ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა, საბჭოთა ხელისუფლებისა და სოციალიზმის დაცვას. წითელი არმიის რიგებში შესასვლელად აუცილებელია რეკომენდაციები: ჯარისკაცთა კომიტეტებისა და საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგომ საზოგადოებრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებისა, პარტიულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციებისა, ან ყოველ შემთხვევაში ამ ორგანიზაციების ორ წევრისა. მთელი ნაწილების წითელ არმიაში შესასვლელად საჭიროა ყველა მათგანის პასუხისმგებლობა და სახელობითი კენჭის ყრა.

2.

1) მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომრები იმყოფებიან სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და გარდა ამისა იღებენ 50 მან. თვეში.

2) წითელი არმიის ჯარისკაცთა ოჯახების შრომის უნარმოკლებული წევრები, რომელნიც წინეთ მათ კმაყოფაზე იმყოფებოდენ, უზრუნველყოფილ იქნებიან ადგილობრივ სამომხმარებლო ყველა ნორმებით, საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების დადგენილებათა თანახმად.



Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ
**წითელი არმიის ორგანიზატორი**

3.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო არის სახალხო კომისართა საბჭო. არმიის უშუალო ხელმძღვანელობა და მართველობა ეკისრება სამხედრო საქმეთა კომისარიატს და მასთან შექმნილ განსაკუთრებულ სრ. რუსეთის კოლეგიას.

**სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე Ვ. ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲘ—ᲚᲔᲜᲘᲜᲘ.**

**უმაღლესი მთავარსარდალი Ნ. ᲙᲠᲘᲚᲔᲜᲙᲝ.**

**სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისრები: ᲓᲘᲑᲔᲜᲙᲝ, ᲞᲝᲓᲕᲝᲘᲡᲙᲘ.**

**სახალხო კომისრები: ᲞᲠᲝᲨᲘᲐᲜᲘ, ᲖᲐᲢᲝᲜᲡᲙᲘ, ᲨᲢᲔᲘᲜᲑᲔᲠᲒᲘ.**

**საქ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი ᲕᲚᲐᲓ. ᲑᲝᲜᲩ-ᲑᲠᲣᲔᲕᲘᲩᲘ.**

**სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი Ნ. ᲒᲝᲠᲑᲣᲜᲝᲕᲘ.**

ეს დეკრეტი გამოქვეყნებულ იქნა და ძალაში შევიდა 1918 წლის 23 თებერვალს. ეს დღე—23 თებერვალი—ითვლება წითელი არმიის დღეთ.

...ში, იმდენად სულ უფრო და უფრო შემცირდება ის განსხვავება, რომელიც არსებობს წითელი არმიისა და ევროპის თანამედროვე არმიებს შორის ტეხნიკური განვითარების მხრივ. ამაში მდგომარეობს ჩვენი უახლოესი ხანის ძირითადი ამოცანა და ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ ამოცანას წარმატებით გადავსწყვეტთ.

მაგრამ როცა ტეხნიკაზე ვლაპარაკობთ, აუცილებელია გზადაგზა შევჩერდეთ ერთ, პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხზე, რომელიც, ჩემის აზრით, უშუალოდ არის დაკავშირებული მთელ რიგ მავნე შეხედულებებთან. ჯერ კიდევ ვლადიმერ ილიჩმა სამოქალაქო ომის დამთავრების თითქმის მეორე დღესვე განაცხადა, რომ მსოფლიო ბურჟუაზიას ყოველ მომენტში შეუძლია მოგვახვიოს თავზე...

...აქედან, რასაკვირველია, არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, რომ ეს განსხვავება მომავალშიაც დარჩება. უკანასკნელი 2—3 წლის განმავლობაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ამ მხრივ. რამდენადაც გაძლიერდება ჩვენი მეურნეობის სამრეწველო და საერთო-ტეხნიკური ბაზა, რამდენადაც გაფართოვდება ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია და რამდენადაც ენერგიული იქნება ჩვენი მუშაობა ამ დარგ...

...ბი ყოველ წლობით იზრდება. ამიტომ ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წითელი არმია მეორე ათ წელში, პროლეტარიატის მტრებთან ბრძოლაში თუ იგი აიძულეს ამ ბრძოლის დაწყება, მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვებას იზეიმებს.

(დასასრული იქნება)

**Კ. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ.**

# ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

„პროლეტარიატმა რომ გაიმარჯვოს, შექმნას და განამტკიცოს სოციალიზმი, მან უნდა გადასწყვიტოს ორნაირი ამოცანა: ჯერ ერთი, — მშრომელთა და გაყვლეფილთა მასა უნდა გაიტაცოს კაპიტალის წინააღმდეგ რევოლიუციონური ბრძოლის უანგარო გმირობით, გაიტაცოს იგი, შეაკავშიროს, ხელმძღვანელობა გაუწიოს ბურჟუაზიის დასამხობად და მისი წინააღმდეგობის სრულიად ჩასაკლავად; მეორე, — თან უნდა გაიყოლიოს მშრომელთა და გაყვლეფილთა მთელი მასა აგრეთვე ყველა წვრილბურ...

...ნეს საკითხს — სოფლად მუშაობას, „საჭიროა უმთავრეს ამოცანად დაისვას ის, რომ გლეხობის კოოპერაციაში შეკავშირების გზით მოხდეს დაქუცმაცებულ საგლეხო მეურნეობათა თანდათანი გადახვლა მსხვილ წარმოებაზე“... (ყრილობის რეზოლიუცია საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის ანგარიშის გარშემო). ამ ამოცანის შესრულება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ განვახორციელებთ კულტურულ რევოლიუციას“, თუ გლეხობის ფართო მასების კულტურულ დონეს მაღლა ავწევთ, ეს გზა გრძელი და ძნელია...

...მელიც პირველი დაძახებისთანავე მზადაა თოფით ხელში დაიცვას საბჭოთა ხელისუფლება და ყველა ჩვენი მონაპოვარი.

მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრობრივი ცნობები, რომლებიც შეეხება წითელარმიელთა კულტურულ - პოლიტიკურ ზრდას. მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებიდან დათხოვნის მომენტისათვის. სამწუხაროდ ეს ცნობები სრული არ არის. ლენინგრადის ოლქში, არასრული ცნობებით, 1925 წელში დათხოვნილთა შორის იყო აქტივისტების ასეთი რაოდენობა: პასუხისმგებელი ორგანიზატორები და...

სპეციალურად გამოკვლეულ როგაჩევის თემში (მოსკოვის გუბ.) დემობილიზაციით დათხოვნილ 100 წითელ არმიელიდან აქტიურად მუშაობს მხოლოდ 51 კაცი, მაშინ როდესაც შევებულთა აქტივობა, მუშაობის სურვილი დიდია.

შევებულთა აქტივობის სოფლად კურსკის საგუბერნიო აღმასკომში შემდეგნაირად ახასიათებს: „დემობილიზაციით დათხოვნილი წ...

...მუნისტების რიცხვი გაიზარდა ექვსჯერ, ხოლო კომკავშირელების ორჯერ.

სამწუხაროთ, დღემდე ადგილებზე ნაკლები ყურადღება ექცევა შევებულ წითელ არმიელების პარტიაში ჩაბმას. ამავე დროს, თუ ადგილობრივი პარტორგანიზაციები საკმაო ყურადღებასა და ხელმძღვანელობას გამოიჩენენ, შვებული წითელარმიელები უნდა გახდნენ არა მარტო პარტიის რიგების შემვსები რეზერვი...

...ვით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სოფლად საბჭოთა საზოგადოებრიობის პიონერები და ხელმძღვანელები, უმთავრესად, დემობილიზაციით გაშვებული წითელარმიელები არიან.

ათი წლის თავზე ჩვენ მკაფიოთ გვესახება თვალწინ ფართო შესაძლებლობანი იმ მხრით, რომ წითელი არმია შეავსებს სოფლის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების აქტიურ მშენებელთა კადრს.

...

**ᲘᲛᲮᲢᲘ.**

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲤᲚᲝᲢᲘ



წყალქვეშა ნავზე.—ნაღმის ჩადება სასროლ აპარატში.

# ვ. ი. ლენინი—წითელი არმიის ორგანიზატორი

1918 წლის პირველ იანვარს, (ძვ. სტილით) ...ლამით, მე შევდიოდი ვლადიმირ ილიჩის პა... ...არა სამუშაო ოთახში. ვლადიმირ ილიჩი ესა... ...ბრება ჩემთვის უცნობ, ევროპიულად ჩაც... ...ულ, მაღალი ტანის კაცს, რომელიც დაახლო... ...ებით ოცდაათი წლის იქნებოდა. ილიჩი ...წყვეტს მასთან საუბარს, მიუთითებს ჩემზე და ...უბნება გერმანულად:

— Genosse Podvoisky, unser Kriegsmeister. *)

შემდეგ მომიბრუნდა მე და დაუმატა:

— ეს არის ამხანაგი, რომელმაც გამოგვყვა ...ჩვენ შვეიცარიიდან — ამხანაგი პლატენი.

...გამართა საუბარი. მე მოუყევი ამხ. პლა... ...ენს იმის შესახებ, რომ ამჟამად ჩვენ ვაკე... ...ებთ უდიდეს რევოლუციონურ საქმეს: ვა... ...ენებთ სოციალისტურ არმიას და რომ დღეს ...ვენ ვაგზავნით წითელი არმიის პირველ ბა... ...ალიონს ჩვენი საზღვრების დასაცავად გერ... ...ანიის იმპერიალიზმის შესაძლო თავდასხმისა... ...ან.

ვლადიმერ ილიჩმა პლატენს წინაშე დაახა... ...ათა წითელი არმიის როლი და მნიშვნელობა ...რსებულ მდგომარეობაში.

— არასოდეს ისტორიაში არ ყოფილა იმდე... ...ი სიძნელეები სახელმწიფოს დამოუკიდებლო... ...ის დაცვის დარგში, როგორიც ნორჩ საბჭოთა ...ესპუბლიკის დაცვის საქმეში, — ამბობდა — ვლა... ...იმერ ილიჩი, — მაგრამ მეორე მხრივ, — განა... ...რძობდა ის, — არასოდეს არმიას არ შეეძლო ...ასეთი გრანდიოზური პოლიტიკური და რევო... ...ლიუციონური როლის თამაში, როგორც ...

...მის აღფრთოვანებული მიხალმება. ვლადიმერ ილიჩი ადის ჯავშნიან ავტომობილზე, ავტომობილიდან ის ლაპარაკობს ვიბორგის რაიონის მუშების მიერ გადადგმული ნაბიჯის უდიდეს მნიშვნელობის შესახებ რევოლუციის მონაპოვართა დაცვის საქმეში. თავის მიხალმებაში ვლადიმერ ილიჩი რამოდენიმე სიტყვით ახასიათებს წითელი არმიის პირველი ბატალიონის შედგენის მნიშვნელობას. მისალმების შემდეგ გაისმა განკარგულება და დაიძრა ბატალიონი. ვლადიმერ ილიჩი ბატალიონთან ერთად გამოვიდა მანეჟიდან და ჩაჯდა ავტომობილში პლატენთან და მარიამ ილიას ასულთან. ავტომობილს არ გაევლოთ რამოდენიმე საჟენი, რომ მის უკან მოისმა სროლა: — ეს იყო ესერების კონტრ-რევოლუციონური პარტიის პასუხი წითელი არმიის შედგენაზე.

***

ფრონტზე იმპერიალისტების წინააღმდეგ იდგა ათი მილიონი კაცი, — თითქმის მთლიანად გლეხური არმია, — რომელიც ჯერ კიდევ მეფემ დააყენა იქ. ნორჩმა საბჭოთა ხელისუფლებამ ზავი შესთავაზა ყველა ერებს. ათი მილიონი კაცი მოუთმენლად მოელოდა ამ ზავს და ერთ სიტყვასაც კი ომის განგრძობის შესახებ შეეძლო აემხედრებია ეს მასა იმათ წინააღმდეგ, ვინც მოუწოდებდა ამისაკენ. და აი, ამ მომენტში, როცა გლეხური მეურნეობა, ფაბრიკების და ქარხნების მეურნეობა იყო მოშლილი და დანგრეული, ხოლო ტრანსპორტი, — სამეურნეო ცხოვრების ეს მთავარი არტერია, — სრულიად გაცვეთილი — ამ მომენტში მდგომარეობამ გვიკარნახა წითელი არმიის ...

***

...ვებერთელა მიხეილის მანეჟი. ერთი კედლის გასწვრივ სდგას ჯავშნიანი ავტომობილები. მეორე კედლის გასწვრივ მწყობრად სდგას წითელი არმიის პირველი ბატალიონი მრავალი დროშებით და პლაკატებით. ვლადიმერ ილიჩს შემოსვლისთანავე მანეჟში გაის...

...გამოქვეყნება მანიფესტისა წითელი არმიის შექმნის შესახებ, ის ყოველთვის უარჰყოფდა ამ წინადადებას. ასეთი მანიფესტის გამოქვეყნება უამისოდ, რომ არ შეგვემოწმებია მუშათა და გლეხთა მასების დამოკიდებულება ახალი არმიის შექმნისადმი, რომლის შექმნა ნიშნავდა ომის აუცილებლობას და სიახლოვეს, ვლადიმერ ილიჩი შეუძლებლად სთვლიდა ნორჩ საბჭოთა რესპუბლიკისათვის. ამიტომ, წითელი არმიის მომწყობ სრულიად რუსეთის კოლეგიამ, რომელიც დაარსდა 19 დე...

*) ამხ. პოდვოისკი, ჩვენი სამხედრო სპეციალისტი.

ნ. პოდვოისკი.

# წითელი არმიის ათი წლის თავი

(1918—23 თებერვალი—1928 წ.)

ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ისტორია არის იმ მრავალ ფრონტიანი უდიდესი სამოქალაქო ბრძოლის ისტორია, რომელიც სწარმოებდა ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად.

მან ლენინგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენკის მუშების, მოწინავე გლეხთა პარტიზანების და იმპერიალისტურ ომის ფრონტელ ჯარისკაცების ორგანიზაციულ მოხალისეობის საფეხურები გაიარა, რომლის შემდეგ გადავედით მუდმივ, რეგულიარულ წითელი არმიის შექმნაზე, და რომელიც შემდეგ გახდა პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენ ძალად.

რუსეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 23 თებერვლის დეკრეტით, რომელსაც თვით ამხ. ლენინი აწერდა ხელს, ჩაეყარა საძირკველი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნას. ამიტომ ეს დღე ჩვენ მიერ გამოცხადებულია წითელი არმიის დღედ, რომლის ათი წლის თავს ეხლა ვდღესასწაულობთ.

მთელი სახალხო ძალების და საშუალებების გამოყენებას, რისთვისაც საჭიროა ყოველმხრივი, გულმოდგინე მზადება ჯერ ისევ მშვიდობიანობის დროს.

მუშების, მოჯამაგირეების, ღარიბებს და საშუალო გლეხების კავშირი სოციალიზმის შენებისათვის, — არის საბჭოთა კავშირის და მისი ხელოვანი, ძლევამოსილი წითელი არმიის ძლიერების საფუძველი. წითელი არმია სოფლის და ქალაქის პროლეტარიატის დაახლოების ცოცხალი განმახორციელებელია.

დღეს, არ იყოს არც ერთი მუშა, ღარიბი და საშუალო გლეხი, რომელსაც იარაღით ხელში არ შეეძლოს თავის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს დაცვა.

ავიაქიმის ორგანიზაციებში აქტიური მონაწილეობით წვევამდე მზადებით და სამხედრო საქმის შესწავლით, თვითეული მოქალაქე, კაცი იქნება ის, თუ ქალი, ხელს შეუწყობს წითელი არმიის სიმტკიცეს.

არა ორი მილიონი, არამედ ათეული მილიონებით უნდა იყვნენ ავიაქიმის წევრები, რაც საკადრისი პასუხი იქნება საბჭოთა კავშირის ...

...თაც მთელ ქვეყანას დაუმტკიცა, რომ პროლეტარიატმა, რომელმაც ძალა-უფლება აიღო ხელში, შესძლო ისეთი კლასიური სამხედრო ძალის შექმნა, რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მტრებმა ანგარიში უნდა გაუწიონ.

ჩვენ უკვე შევქმენით მუშურ-გლეხური სარდლობა.

„წითელი არმიის სარდლობის შემადგენლობა არის მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის ხორცი და სისხლი", ამბობდა განსვენებული ამხ. ფრუნზე. წითელ-არმიელი და წითელფლოტელი პირველი დარაჯები არიან საბჭოთა ქვეყნისა, რომელიც სოციალიზმს აშენებს.

საბჭოთა კავშირი იმყოფება მტრის თავდასხმის მუდმივ შიშის ქვეშ. ის მუდმივ ელის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ და კონტრ-რევოლიუციონურ ჯარების შემოსევას ჩვენს თეთრ გვარდიელებთან ერთად, რომელსაც ის გარემოებაც ადასტურებს, რომ მსოფლიოს ბურჟუაზია ერთთავად განიარაღებაზე ლაყბობს, დანამდვილებით კი უფრო აძლიერებს თავის ჯარს და შეიარაღებას.

საბჭოთა კავშირი ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც სამხედრო ხარჯები არამც თუ არ იზრდება, პირიქით, მეფური მთავრობის დროის სამხედრო ხარჯების ნახევარსაც ვერ აღწევს. კაპიტალისტურ ქვეყნების სამხედრო ხარჯები კი ბევრად გაიზარდენ.

„ყველაზე სახიფათო—მოწინააღმდეგის შეუფასებლობაა", — ამბობდა ლენინი ჩვენ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის შეგნებაში უნდა განვამტკიცოთ ის აზრი, რომ თანამედროვე ომები მარტო არმიების საშუალებით კი არა სწარმოებენ, არამედ მასში მონაწილეობას იღებენ თვით ეს ქვეყნები მთლიანად. თანამედროვე ომი მოითხოვს ...

...გების და ახალი ომების მზადების წინააღმდეგ... ჩვენ ყოველთვის ვიცავთ ხალხთა მშვიდობიანობას, საერთაშორისო თანამშრომლობას, სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიო ოქტომბრის გამარჯვებას!

დღევანდელი მომენტის მთავარი ამოცანაა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული მუშა და მშრომელი გლეხი მოემზადოს და თავი მრავალ მილიონიან მშრომელთა არმიის რიგებში იგრძნოს. მაშინ ჩვენთვის საშიში აღარ იქნება იმპერიალისტების მუქარა და ბნელი განზრახვა. ძირითადი ნაწილების, ტერიტორიალურ სისტემის და თავდაცვა-ავიაქიმის საშუალებით მტკიცდება საბჭოთა კავშირსა და ქალაქის და სოფლის მშრომელთა შორის კავშირი. გავაძლიეროთ ჩვენი მზრუნველობა და სიყვარული ჩვენს ბრწყინვალე წითელ არმიისადმი.

მუშებო და გლეხებო, ყოველთვის მჭიდრო კავშირი იქონიეთ წითელ არმიასთან, ვინაიდან, ის თქვენი სისხლი და ხორცია!

წითელი არმია მსოფლიო რევოლიუციის შეიარაღებული რაზმია!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ხელმძღვანელს—კომინტერნს!

გაუმარჯოს მის სახელოვან რაზმს—ლენინურ საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელს და მშენებელს!

გაუმარჯოს მსოფლიო ძლევამოსილ რევოლიუციას იმპერიალიზმის მიერ ტანჯულ კოლონიებში და ნახევარ-კოლონიებში!

გაუმარჯოს მისი არსებობის ათი წლის თავზე ჩვენს ძლევამოსილ და მშობლიურ მუშურ-გლეხურ წითელ არმიას, როგორც სახელოვან რაზმს მომავალი მსოფლიო ძლევამოსილ წითელ არმიისას!

მიხა ცხაკაია






ამხ. ლევანდოვსკი
კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სარდალი და სამხ.-რევ. საბჭ. წევრი.

...სწრაფ დახავსებულ კაპიტალიზმს და ყოველმხრივ არყევენ მის ისედაც მერყევ და უდღეურ სტაბილიზაციას.

საბჭოთა სახელმწიფოს რევოლიუციონური შარავანდედი სულ უფრო და უფრო იზიდავს ბურჟუაზიულ ქვეყნების ჩაგრულ და გაუვალფილ ფენებს.

მსოფლიო ბურჟუაზიულ წყობილების ავად მყოფობასთან ერთად იზრდება, მტკიცდება და ბრწყინავს ჩვენი საბჭოთა კავშირი. ახალგაზრდა ჯანსაღი პროლეტარული სახელმწიფო წლიდან წლამდე ამაგრებს თავის სოციალისტურ საფუძვლებს, წინ მიიწევს დიდი სოციალისტური კიბის ერთი საფეხურიდან მეორეზე და ეს სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება მსოფლიოს მასებისათვის.

ამჟამად ჩვენმა საბჭოთა ქვეყანამ გაიძრო თავის ფეხიდან ხის სანდლები, რომლებსაც ატარებდა ამ რამოდენიმე ხნის წინად.

მან განვლო უბადრუკი, მშიერი არსებობის პერიოდი, თავი დააღწია ურიცხვ ავადმყოფობას და ეხლა თავისი მკვიდრი ჩექმებით ამაყად მიიწევს წინ სოციალისტურ აღმშენებლობის გზაზე. სრული დარწმუნებული საბოლოო გამარჯვებაში.

ჩვენი ქვეყნის ასეთი მდგომარეობა შიშსა და მღელვარებას იწვევს წინააღმდეგობებში გაბმულ ბურჟუაზიულ ქვეყნებში. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამარჯვების რევოლიუციონურ ეფექტის შიში აიძულებს ბურჟუაზიას ამზადოს მთლიანი შავი ფაშისტური ფრონტი ჩვენს წინააღმდეგ, ვინაიდან ჩვენ წარმოვადგენთ მსოფლიო მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურ ფაქტორს და მთელ მსოფლიოს მუშათა და გლეხთა მთლიანი წითელი ...

...დუმლოება.

ამ ჩვენთვის დიდმნიშვნელოვან იუბილეს დღეს ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ ზოგიერთ პრაქტიკულ ამოცანებს, რომლებიც სდგას ამჟამად ჩვენი თავდაცვის საქმის წინაშე და რომლებიც გამომდინარეობს სწორედ მომავალი ომის თავისებურობებიდან.



ამხ. შ. ელიავა
კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სამხ.-რევ. საბჭ. წევრი.

ᲐᲠᲛᲘᲐᲨᲘ. უნდა აღმოიფხვრათ მთელი რიგი დეფექტები არმიის ყოფა-ცხოვრების დარგში, განსაკუთრებით მის სამეურნეო და მატერიალურ უზრუნველყოფის დარგში, კიდევ უფრო მტკიცედ და ნაყოფიერად უნდა განვაგრძოთ როგორც წითელარმიელების, ისე მეთაურთა შემადგენლობის სწავლების გზა.

ამხ. ლენინი ასე ახასიათებდა წითელი არმიის მნიშვნელობას თანამედროვე პირობებში:

„რევოლიუციონური არმია იმიტომ არის აუცილებელი, რომ მხოლოდ ძალით შეიძლება გადაიჭრას დიდი ისტორიული ამოცანები, ძალის ორგანიზაცია კი თანამედროვე პირობებში—არის სამხედრო ორგანიზაცია". (ლენინი, ტ. მე-6, გვ. 268).

ლენინიზმი ამაგრებს სოციალისტურ სამშობლოს დაცვის მებრძოლ მოწინავე რაზმს მრისხანე ინტერნაციონალურ ძალად, რომელსაც შეეძლება მოიგეროს მსოფლიო ბურ...

...ომის დროს, არამედ მის შემდეგაც ... არსებობასაც კი შეუქმნას საფრთხე.

აი ამიტომ ჩვენს მუშაობას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის უნდა მიეცეს არა განცალკევებულ სასწრაფო კამპანიების ხასიათი, არამედ გეგმაშეწონილი, ყოველდღიური საგეგმო ხასიათი მომავალ ომის თავისებურებათა მიხედვით. თუ წითელი არმია ასრულებს ამ პირობებს და თავის მძიმე, სისტემატიური, მედგარი სწავლით ადიდებს თავის ძლიერებას, საჭიროა, რომ მთელი სახელმწიფო მანქანაც ამავეს აკეთებდეს.

ჩვენ აქ სიტყვას არ გავაგრძელებთ პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირების, სახელმწიფო, სამრეწველო და სხვა ორგანიზაციების როლზე, ორგანიზაციებს, რომლებისთვისაც ოპერატიული მუშაობა არის სავალდებულო და ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ამოცანა. ამხ. ლენინი ასე უსვამდა ხაზს პარტიულ ორგანიზაციების მნიშვნელობას ამ საკითხში:



ამხ. ვასილიევი
კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსი და სამხედრო-რევოლიუციონურ საბჭოს წევრი.

„მხოლოდ იმის გამო, რომ პარტია იდგა სადარაჯოზე, რომ პარტიაში იყო უსასტიკესი დისციპლინა, და იმიტომ, რომ პარტიის ავტორიტეტი აერთიანებდა ყველა უწყებებსა და დაწესებულებებს და ცეკას ლოზუნგს ერთი კაცივით მიჰყვებოდენ ათეულები, ასეულები, ათასეულები და, საბოლოო ანგარიშით, მილიონები, და მხოლოდ იმიტომ, რომ გაღებულ იქნა გაუგონარი მსხვერპლი, — მხოლოდ ამიტომ შეიძლებოდა მომხდარიყო ის სასწაული, რომელიც მოხდა მხოლოდ ამიტომ, მიუხედავად ანტანტის და მთელ მსოფლიოს იმპერიალისტების ორჯერ, სამჯერ და ოთხჯერ გამოლაშქრებისა, ჩვენ შევსძელით გამარჯვება". (რ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ანგარიში. ლენინი, ტ. მე-17, გვ. 64).

საჭიროა, რომ ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, და პირველ რიგში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების უჯრედები წარმოადგენდენ არა მარტო სააგიტაციო ორგანიზაციებს, არამედ ისეთ ორგანოებსაც, რომლებიც ასრულებენ აგრეთვე გეგმიან ოპერატიულ მუშაობას.

თავდაცვა-ავიაქიმის სხვადასხვა სექციების წინაშე უნდა დაისვას მთელი რიგი ცალკე ამოცანები: გაზის საწინააღმდეგო ხელსაწყოს მოხმარების სწავლება, დეგაზაციის საკითხების შესწავლა, ადგილობრივ ნედლეულიდან მომწამვლელ ნივთიერებათა დამზადების წესების დამუშავება, გასამხედროების საკითხი მთლიანად და სხვ.

... ჩვენზე". (ლენინი, ტ. მე-20, გვ. 253).



ამხ. კარაევი.
კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის სამხ.-რევ. საბჭ. წევრი.

გაუმარჯოს მსოფლიოში პირველ პროლეტარულ წითელ არმიის 10 წლის იუბილეს!

გაუმარჯოს მის ბელადს—ბოლშევიკების ლენინურ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კაპიტალისტურ ქვეყნების პროლეტარულ მასების და აღმოსავლეთის ჩაგრულ მასების რევოლიუციონურ მოძრაობას!

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს—კომინტერნს!

მ. ლევანდოვსკი

# მისალმებანი წითელ არმიას

სალამი წითელ არმიას, რომელმაც დიად ბრძოლებში დაიცვა ოქტომბრის მონაპოვარნი!

დიდება პროლეტარულ საქმისათვის დაცემულ მებრძოლთ!

დიდება იმ მებრძოლთ, რომლებიც სოციალისტური მშენებლობის დიადი საქმის სადარაჯოზე სდგანან!

ი. სტალინი.

ოქტომბრის ათი წლის თავის შემდეგ ჩვენ ვდღესასწაულობთ წითელი არმიის ათი წლის თავს — მუშებისა და გლეხების გამარჯვებას შეიარაღებულ ბრძოლაში კაპიტალისტურ მსოფლიოს წინააღმდეგ.

არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური და სამეურნეო მიღწევები საბჭოთა კავშირისა განვლილი ათი წლის განმავლობაში მჭიდროდაა დაკავშირებული წითელი არმიის ბრძოლასა და გამარჯვებასთან.

მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მწვავე კრიზისის პერიოდში შეიარაღებული მუშებისა და გლეხების — წითელი არმიის ძალებით და სხვა ქვეყნების მუშათა კლასის დახმარებით მოპოვებულია მსოფლიოში იმ პირველი პრო...

...რივი ძალადობის ... დისციპლინა წითელ არმიაში არის იმ მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობის გამოხატულება, რომლებიც დარაზმული არიან სოციალისტური რევოლიუციის შეიარაღებული დაცვისათვის.

ამჟამად კაპიტალისტური ქვეყნები, ემზადებიან რა ახალი ომებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სამხედრო ტეხნიკის განვითარებას, ომის ხელოვნებას, ადამიანების მასიურად გაჟლეტის ხელოვნებას ბურჟუაზია დღითი-დღე აუმჯობესებს. ხარჯები ახალი ომების მოსამზადებლად ყველა სახელმწიფოში არაჩვეულებრივი სისწრაფით იზრდება. ბურჟუაზიულ საზოგადოებას არც ერთ დარგში არა აქვს ისეთი მიღწევები, როგორც ომის საქმეში. ამიტომ წითელმა არმიამაც უნდა გააუმჯობესოს თავისი სამხედრო ტეხნიკა და სამხედრო ს... და სამხედრო ტეხნიკის ყველა მიღწევების გამოყენების უნარი საბჭოთა კავშირის დაცვის მიზნით.

წითელი არმიის მშენებლობა და ცხოვრება მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი კავშირის ცხოვრებასა და ...

# წითელი არმიის ათი წლის თავზე

მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ათი წლის თავი საჭიროა დაუკავშიროთ მსოფლიოში პირველ სოციალისტურ სამშობლოს დაცვის ათი წლის იუბილეს; ამიტომ ამ ჩვენი და მსოფლიო რევოლიუციისათვის ისტორიულ დღეს წარსულის და აწყოს ანალიზის საშუალებით უნდა წარმოვიდგინოთ ძირითადი ამოცანები ჯერ-ჯერობით ერთად-ერთ პროლეტარულ სახელმწიფოს და მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციის განვითარების ძირითად პოლიტიკურ ციხე-სიმაგრის—საბჭოთა კავშირის დაცვის საქმეში.

მსოფლიოს და განსაკუთრებით ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მშრომელთათვის ნათელია ის კლასობრივი და სოციალური მერყეობა, რომელიც ხდება ამჟამად მსოფლიო იმპერიალიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ ასპარეზზე. ბურჟუაზიული მსოფლიო გამუდმებით არის დაავადებული პოლიტიკურ გრიპის კლასობრივ რევოლიუციონური ეპიდემიით.

ერთის მხრივ დასავლეთის მუშათა პროლეტარული მასები, მეორეს მხრივ აღმოსავლეთის ღარიბ გლეხობის მასები თავის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობით ყელში ...

# მაღლა ვჭიროთ წითელი დროშა

წითელი არმიის წარმოშობა დაკავშირებულია ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვრებთან და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებასთან. პირველად ის წარმოიშვა რ.ს.ფ.ს. ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ—1918 ᲬᲚᲘᲡ 23 ᲗᲔᲑᲔᲠ-ᲕᲐᲚᲡ მაშინ, როდესაც იქ დამყარებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას ემუქრებოდა საფრთხე და მცირერიცხოვანი წითელი გვარდია კი სუსტი მოსჩანდა კონტრ-რევოლიუციის დარაზმულ და შეიარაღებულ ძალასთან (შინაგანი და საგარეო—დონი, ყუბანი, დამფუძნებელ კრების მომხრენი, ჩეხო-სლოვაკელები, ინტერვენციის დასაწყისი და სხ.) შედარებით. აგებულმა სრულიად სხვა პრინციპებზე, საბჭოთა სახელმწიფოებრივობამ მოჰ...

...ნად დაისახა ყველა მშრომელთა მასების განთავისუფლება კაპიტალიზმის ბატონობისაგან და სოციალიზმის აშენება. ეს ამოცანა ადვილი არ იყო, მისი განხორციელება მოითხოვდა საბჭოთა ხელისუფლებისაგან უდიდეს სიძნელეთა გადალახვას, მუდმივ და გმირულ ბრძოლას მუშათა კლასის მტრების წინააღმდეგ. ამისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ესაჭიროებოდა თავის მუდმივ არმიის შექმნა, რომელიც მოწყობილი უნდა ყოფილიყო სხვა პრინციპებზე, ვიდრე ბურჟუაზიული; სწორედ მისი დახმარებით მან შესძლო საბოლოოდ გადაერჩინა თავისი მონაპოვარნი.

ამრიგად წითელი არმია წარმოშვა ოქტომბრის რევოლიუციამ, რომელმაც სასიკვდილო ...

...შუალებებით.

ჩვენი სამხედრო ტეხნიკის შემდგომ გაუმჯობესებას უზრუნველჰყოფს საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ არმია ჯეროვან სიმაღლეზე დგას, მაინც მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ომის ხასიათის გამო ქვეყნის თავდაცვის საკითხების გადაჭრა შეუძლებელია მარტო სამხედრო უწყების ძალებით. ის ამოცანები თავდაცვის მომზადების საქმეში, რომლებსაც აყენებს ჩვენს წინაშე მომავალი ომის ხასიათი არ შეიძლება მთლიანად განხორციელებულ იქნას მხოლოდ არმიის ფარგლებში; მომავალ ომს აწარმოებს არა მარტო უშუალოდ მომქმედი არმია, მისი ძალები და საშუალებები, არამედ მთელი სახელმწიფოც მთლიანად, მთელი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატი.

ზურგის თავის დროზე, ყოველმხრივ, გეგმაშეწონილ და შეუწყვეტელ მომზადებას თავდაცვისათვის თანამედროვე პერიობებში ეძლევა გადამწყვეტი მნიშვნელობა.

სამოქალაქო, სახელმწიფო, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების როლი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის განმტკიცების უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანაში განსაკუთრებით დიდია.

ჩვენ ისე უნდა დავგეგმოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება, რომ მშვიდობიან დროს შევეძლოს თავდაცვით გამოწვეულ მოთხოვნილებათა გათვალისწინება.

ამასთანავე სამხედრო საქმის თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს, სამხედრო ცოდნის გავრცელებას ფართო მასებში და მშრომელთა მიერ სამხედრო საქმის პრაქტიკულად შესწავლას. ყოველივე ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა.

ა. რიუმინ.

ᲡᲐ. ᲨᲝᲚᲘ.

# საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონურ საბჭოს ბრძანება

I.

მოსკოვი 22 თებერვალი. საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანება, რომელსაც ხელს აწერს ამხ. ვოროშილოვი, ახასიათებს რა წითელი არმიის გმირულ როლს კლასობრივ გამარჯვებათა განმტკიცების საქმეში სამოქალაქო ომის დროს და ტეხნიკური ძლიერების გაუმჯობესებას მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში, აღნიშნავს წითელი არმიის პოლიტიკურ ხაზს და ამბობს:

უდრეკ კიდილსავით ხდგას მუშურ-გლეხური წითელი არმია საბჭოთა ქვეყნის საზღვართა სადარაჯოზე. საბჭოებს დიდ ქვეყანას მშვიდობიანობა სურს. საბჭოთა მთავრობა თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე მედგრად იბრძვის მშვიდობიანობისათვის. მაგრამ სანამ გარშემო გვარტყია კაპიტალისტური სახელმწიფოები, ომის საფრთხე მუდამ თავს დასტრიალებს საბჭოთა კავშირს. წითელი არმია მზად არის უკუაქციოს ყოველგვარი თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. დაე, ათი წლის თავის საზეიმო დღე ჩვენი შეიარაღებული გაძლიერების საწინდრად გადაიქცეს“.

II.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის 10 წლის თავის აღსანიშნავად ს. ს. რ. კ. სამხედრო - რევოლიუციონური საბჭო ადგენს:

1) სასჯელი დადებული დისციპლინის დარღვევისათვის 1928 წლის 23 თებერვლამდე, თუ ასეთი არ არის მოყვანილი სისრულეში გაუქმდეს.

2) 1928 წლის 23 თებერვლამდე დანაშაულის ჩამდენი დისციპლინარული წესით არ დაისაჯონ,

3) ის პირები, რომლებიც ამჟამად იხდიან დისციპლინარულ სასჯელს, გან თავისუფლებულ იქნენ ასეთიდან.

სამხედრო საზღვაო—საქმეთა სახ. კომისარი და სამხ.-რევ. საბჭოს თავმჯდომარე ვოროშილოვი.

# ბალტიის ფლოტის დაჯილდოება

მოსკოვი, 22 თებერვალი. საბჭოთა კავშირის ცაკმა ბალტიის ფლოტი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

საბჭოთა კავშირის სამხედრო - რევოლიუციონური საბჭო თავის ბრძანებაში ულოცავს ბალტიის ფლოტის საზღვაო ძალებს და მთელ პირად შემადგენლობას ამ უმაღლეს ჯილდოს და წრმენას გამოსთქვამს, რომ საკავშირო კომპარტიის ხელმძღვანელობით და თავისი შეფის — ლენინური კომკავშირის მხურვალე დახმარებით ბალტიის ზღვის საზღვაო ძალები საბ. რესპუბლიკებისა და პროლეტარული რევოლიუციის აკვნის — ლენინგრადის საიმედო დარაჯებად იქნებიან.

# ბრძანება კავკასიის წითელ დროშოვან არმიისადმი

№ 56

ქ. თბილისი. 1928 წლის თებერვლის 23.

დღეს შესრულდა ათი წელი, რაც მუშებმა და გლეხებმა აიღეს რა ხელში ძალაუფლება, შეუდგნენ თავისი მუდმივი, რეგულიარული მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნას და დააყენეს მის წინაშე ამოცანა: დაეცვა მსოფლიოში პირველი პროლეტარული ქვეყანა, რომელსაც მეთაურობს მუშურ - გლეხური საბჭოთა ხელისუფ- [illegible] უკრაინელები, ქართველები, სომხები, თათრები და სხვები ერთიან და ერთად ერთი კომუნისტური პარტიის დროშის ქვეშ, ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგებ ქვეშ, ცხოვრობენ ძმურად და მზად არიან ერთსულოვნად ეკვეთონ ყველას, ვინც შეეცდება დაარღვიოს ის მთლიანობა, გასთიშოს ეს ძმური კავშირი.

[illegible]

# წითელი არმიის ქართული ნაწილები

საქართველოს წითელი არმიის შექმნას ამხ. ლენინი აქცევდა დიდ ყურადღებას, ყველა მის წერილებში საქართველოს პასუხისმგებელ ამხანაგებისადმი ის ხაზს უსვამდა საქართველოს მუშურ-გლეხურ წითელი არმიის შექმნის აუცილებლობას. ერთ წერილში 1921 წელს ის სწერდა: „საჭიროა დაუყოვნებლივ შეაიარაღოთ მუშები და ღარიბი გლეხები საქართველოს წით. არმიის შექმნის მიზნით“. მეორეში იმავე 21 წლის 18 თებერვალს ის გვითითებს: „აუცილებლად გააძლიერეთ საქართველოს წითელი არმია, მიიზიდეთ ხელისუფლების ყველა ორგანოები და ყველა მშრომელი მასები მუშაობაში არმიის შესაქმნელად...

[illegible]

ტურ ახალგაზრდობიდან სამხედრო პოლიტცოდნის მიღების მიზნით.

რას წარმოადგენს ამჟამად ქართული წითელი არმია, რა მიღწევები აქვს მას სამხედრო და პოლიტიკური მომზადების მხრივ?

სანამ ამის დაფასებაზე გადავიდოდეთ საჭიროა გავიხსენოთ შემდეგი გარემოება. თავდაპირველად ის, რომ ქართული წითელი ნაწილები შედარებით რუსეთის წითელ არმიის ნაწილებთან უფრო ახალგაზრდაა; შემდეგ ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის წითელ არმიას აქვს მდიდარი ისტორია სამოქალაქო ომების წარმოების, რომლის ბრძოლის ხანაშიც წარმოიშვა თვითონაც, და ბოლოს ქართული წითელი არმია თავისი მშენებლობის პროცესში [illegible]



ა. გიდევანიშვილი
პი ქართული დივიზიის შტაბის უფროსი

ლივე ამისა მის უფროს ხელმძღვანელებმა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მუშაობით, გადალახეს ყოველივე დაბრკოლებები და ამ დროისათვის ჩვენი ქართული ნაწილები თავის ბრძოლის უნარიანობით თანასწორ დონეზე დგანან მის უფროსი რუსეთის წითელი არმიის რიგებში. მან შესძლო მისი სამხედრო მომზადებით ეჩვენებია სახე ნამდვილი მებრძოლი ჯარის ნაწილების. ამ ორი უკანასკნელი წლების [illegible]

[illegible]

# ტერიტორიალური მშენებლობა საქართველოში და წით. არმიის 10 წ. თავი

ცნობილია, თუ რა სიძნელეთა გადალახვა იყო საჭირო ნაციონალურ ნაწილების ჩამოყალიბების საქმეში, ცნობილია ისიც, თუ როგორი ღონისძიებები იყო საჭირო, რომ მენშევიკების ბატონობის ნანგრევებზე საქართველოში მოწყობილიყო საქართველოს მუშებისა და გლეხების მშრომელთა დამცველი მებრძოლი ორგანო. ამხ. ლენინის წერილში ამხ. სერგო ორჯონიკიძისადმი 1921 წელში აღნიშნული იყო ამ ამოცანის გადაჭრის აუცილებლობა. ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის მეათე წლის თავზე მუშებს და გლეხებს უფლება აქვთ იამაყონ დიდი მიღწევებით, სამხედრო მშენებლობის საქმეში და ლენინის [illegible] თა წვევამდე მზადება და სამხედრო საქმე შეასწავლეს ნ ნახ. ათასამდე წვევამდელს.

ამრიგად ნაწილები ივსება ახალი ძალებით, რომლებიც სავსებით დამაკმაყოფილებლად იყვენ მომზადებული და დივიზია თანდათან მტკიცე ნიადაგზე დგებოდა. 1926 წელმა მოგვცა უკვე ახეთი ნაყოფი: ჩატარდა 1899, 1900, 1901 და 1902 წელში დაბადებულთა მოკლევადიანი შეკრებანი (7 დღე). ამავე წელში 2 ნახ. თვით წინასწარ მოსამზადებლად იქნენ გაწვეული 1903 წელში დაბადებულნი. ამავე წლის შემოდგომაზე ჩატარდა ზემოთ აღნიშნულ წლებში დაბადებულთა საერთო [illegible]

[illegible] გრთვნილი წინასწარი მომზადებით. იმავე წლის შემოდგომაზე ჩატარდა დივიზიის ცვალებად შემადგენლობის ერთთვიანი საერთო შეკრება. დივიზიის რიცხვობრივი შემადგენლობა თანდათან იზრდება, უმჯობესდება მუშაობის პირობები და დივიზიის ნაწილები იქ ცევა მრისხანე ძალად.

1926 წლის ბოლოს დივიზიის ნაწილებმა ჩაატარეს 1903 და 1904 წელში დაბადებულ- [illegible]

[illegible] სლოვებლად.

1927 წ. მეორე ქართულ დივიზიას მიეკუთვნა ტერიტორიალურ მშენებლობის დამფუძნებელის—ამხ. ფრუნზეს სახელი. მეორე ქართული დივიზია ისე, როგორც დღემდე, მომავალშიაც წავა იმ გზით, რომელიც დაუსახა მას ამხ ფრუნზემ. და ღირსეულად შეასრულებს ჩვენი კავშირის დაცვის დიად საქმეს.

შ. მამალაძე.

# წითელი ჯარის ეროვნული ნაწილები

აზერბეიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოებით, მშრომელმა მასებმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გადასჭრეს თვითგამორკვევის საფუძველზე პროლეტარულ ეროვნული პოლიტიკის ძირითადი საკითხები და შექმნეს ხელსაყრელი პირობები შეიარაღებულ ძალების განვითარებისთვის მშრომელთა თავისუფალი კავშირის ნიადაგზე. ჩვენი კავშირის შეიარაღებულ ძალთა მშენებლობა სავსებით გამოხატავს კომუნისტურ პარტიის ეროვნულ პოლიტიკას. საქართველოს საბჭოების მესამე ყრილობაზე ამხ. ფრუნზემ თავის მოხსენებაში განაცხადა: „როგორც მთელ ჩვენ საბჭოთა მშენებლობაში, ისე სამხედრო საქმეშიაც ჩვენ ვალდებული ვართ განვახორციელოთ ეროვნული პოლიტიკის პრინციპები და ვანხორციელებთ კიდეც მათ. ჩვენ არმიას ვაშენებთ ისე, რომ ჩვენი კავშირის თვითეული ერის ინტერესები თანაბრად იქნეს დაცული მეორე მხრივ ეს ჩვენ უნდა გავატაროთ ისე, რომ არმია წარმოადგენდეს მთლიანსა და ძლიერ ორგანიზაციას, რომლის ყველა ნაწილი იყოს ბრძოლის უნარიანი და რომელიც ჩვენი კავშირის უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენდეს“.

განსვენებული ბელადის ეს სიტყვები ჩვენ სავსებით განვახორციელეთ ამიერ-კავკასიის ეროვნულ-შეიარაღებულ ძალთა მშენებლობაში. კომუნისტური პარტიის ძირითადმა პრინციპებმა ფართო საშვალება მისცეს ჩვენი ეროვნულ-შეიარაღებულ ძალთა განვითარებას. ამიერ-კავკასიის ყოველი ეროვნების ინტერესები სავსებით დაცულია თავისი ჯარის ნაწილის მშენებლობის საქმეში. ყარაბახსაც, სამხრეთ-ოსეთსაც, აჭარისტანსაც და აფხაზეთსაც—ყველა ამათაგანს ყავს საკუთარი ნაწილები, რომლებიც მათ უყვართ და რომლებსაც მზრუნველობით ეპყრობიან.

ყველა ჩვენი მრავალ ეროვნებათა შეიარაღებული ძალები, რომლებიც გაერთიანებული არიან ამიერ-კავკასიის ძირითად რესპუბლიკებში: აზერბეიჯანსა, სომხეთსა და საქართველოში. — ათასეულებათ, ლეგიონებათ, და დივიზიებათ, წარმოადგენენ მთლიან საბრძოლო ორგანიზმს, და კავკასიის წითელ- [illegible]

ეროვნულ ნაწილებმა შექმნეს თავისი ეროვნულ მუშურ-გლეხურ მეთაურთა დიდი კადრი, რომელმაც გაიარა მეთაურთა კურსები და სამხედრო სკოლები. ჩვენ გვყავს არა ერთი ათეული თათარ, სომეხ და ქართველ მეთაურთა, რომლებმაც გაიარეს წითელი არმიის კურსები და გააღრმავეს თავისი ცოდნა. ეროვნულ ნაწილებმა ამ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში მიიღეს სამხედრო აკადემია დამთავრებული ეროვნული მეთაურე-



ვ. პ. გიორგაძე
მეორე ქართულ მსროლელ დივიზიის უფროსი.

ბი; მათი რიცხვი წლითიწლობით იზრდება. ეროვნულ დივიზიებს აქვთ აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი მიღწევები, როგორიცაა საკუთარი სამხედრო ტერმინოლოგიისა და ლიტერატურის შექმნა და წესდებების თარგმნა დედაენაზე.

ვლაპარაკობთ რა, ეროვნულ-სამხედრო [illegible]

[illegible] ხეთის დივიზიას—შამხანით ხროლაში.

სამოხწავლო შეკრებებზე გამოცხადება აღწევს 98 პროცენტს, და ცალკე ნაწილებში ის არის არა ნაკლები 96, 5 პროცენტისა.

ეროვნულ- ტერიტორიალურ ნაწილებმა უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მოამზადეს 50 ათასი წვევამდელი.

ტერნაწილების მომზადების საქმეში მიღწევების ნათელსაყოფად არმიის სარდლის ამხ. ლევანდოვსკის თაოსნობით ჩატარებულ იქნა ერთი და იმავე ტიპის მეცადინეობა, ძირეულსა და ტერიტორიალურ ნაწილებში დაახლოვებით ერთნაირ გარემოებასა და პირო- [illegible] ძლიერება, რათა აღმოფხვრილ იქნას ზოგიერთი ნაკლი ეროვნულ ნაწილების საბინაო კმაყოფის დარგში, საჭიროა ბანაკების, სასროლო ადგილების, სამაცადინო მინდვრების უკეთ მოწყობა და სხვა.

ჩვენი ეროვნული ნაწილების მუშაობის შეფასება უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ამიერ-კავკასიის მუშებსა და გლეხებს შეუძლიან იქონიონ სრული იმედი, რომ მათი ეროვნული ნაწილები ყოველთვის იქნებიან დიდი ოქტომბრის რევოლიუციის ღირსეული დამცველები.

ვ. გიორგაძე.

# წითელი არმია

(10 წლის თავზე)

ოქტომბრის მზეს რომ სუსხი მოსდევდა,
მე ვიშვი მაშინ. იდგა ზამთარი.
ქარიონი თოვლში მიდამოს ჰხვევდა
და შემცივნით სიოდა ქარი...
ყორნები, მხრებზე თეთრი ბუმბულებით,
ციეს მიდამოში ყიოდენ მკაცრად.
ცა იჯღორგოდა ლეგა ღრუბლებით
და მოცვიოდა ცეცხლად და ნაცრად...
მე ვიყავ ნორჩი. მაგრამ ზღაპრულად [illegible]

[illegible]

იქით—კოლჩაკი, აქეთ— ვრანგელი,
სადაც უკვალოდ [illegible]
შაიი ზღვის ველზე [illegible]
[illegible]
ახლა იარებს ვიშუშებ ტანზე,
ახლა რიგები გავსჭრიდე ჯავშნით,
მტერი თუ კიდევ მოგვადგა ბანზე,
ძერემოწიით, (ჯაჭაც კი ნაღმად ავშლით)
და გავწვიმდებით ცეცხლის შრაპნელად,
და გადვიქცევით მტრის თავზე გრგვინ- [illegible]

[illegible]

# ათი წელი რევოლიუციის სადარაჯოზე

1918-19 წლებში წითელი ჯარი ახალი, ნორჩი და ჯერ გამოუცდელი სამხედრო ძალა იყო.

დაიშალა თუ არა რუსეთის თვითმპყრობელ მეფის სახელმწიფო წყობილების მექანიზმი,— იწყო რღვევა მისმა სამხედრო აპარატმაც.

ბოლშევიკებისათვის ნათელი შეიქნა, რომ მეფის თვითმპყრობელობის დაცემასთან ერთად უნდა სავსებით დაშლილიყო ძველი არმია. მისი გამოყენება რეორგანიზაციის ჩაუტარებლად ძველი სარდლებისა და შტაბების ხელმძღვანელობით რევოლიუციის გასამარჯვებლად შეუძლებელი საქმე იყო.

თანახმად ოფიციალური ცნობებისა დენიკინს ამ დროს საკმაო ჯარი ჰყავდა და სამხედრო მოწყობილობაც ჰქონდა. მისი ჯარი შესდგებოდა 99,450 ქვეითი ჯარისკაცისაგან 58, 800 ცხენოსანისაგან, 1.727 ტყვიისმფრქვეველისაგან, 560 ზარბაზნებისაგან.

ეს ძალა და ის, რაც ჰქონდა კოლჩაკს და იუდენიჩს მეორე მხრივ, ნათლად ამტკიცებს, თუ რა განსაცდელში სურდათ მტრებს ჩაეგდოთ წითელი ჯარის და მისი სარდლობის ბედი.

მართლაც, სამოქალაქო ომის მონაწილეთ უთუოდ ახსოვთ, თუ როგორის სისწრაფით [illegible]

[illegible]

# ქრონიკა

[illegible]

## შემთხვევები

[illegible]

...მუშკოოპის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ მაღაზიიდან საქონელს იპარავდა ვიღაც ვარლამ ნასყიდასძე მღვდელაძე. მღვდელაძე დაპატიმრებულია.

**ჯიბგიროპა**

გუშინ, დღისით ილია გიორგისძე გოგელაშვილს სასადილო „ვაზში" ვიღაც უცნობმა პირმა ჯიბიდან ამოაცალა 600 მანეთი და მიიმალა.

## რკინისგზაზე

[illegible]

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას განზრახული აქვს სადგ. ავჭალაში ახალი ჩიხის მოწყობა.

**სპეციალური განაკვეთი**

გზის გამგეობის და საგზაო კომიტეტის შორის მიღწეულია შეთანხმება, რომლის თანახმად დეპოს უფროსებისა და მათი თანაშემწეებისათვის დაწესებულია სპეციალური განაკვეთი.

# სასამართლო

**„ინჟენერი-კომივოიაჟორი"**

— ჩემი საქმე მაშინ წახდა, როცა ჩემი სპეციალობა „ინჟენერობა" მივატოვე და დავიწყე ეს დაწყევლილი „კომივოიაჟორობა". მაგრამ რა მექნა? გაჭირვებას დაუდგეს თვალები...

ასე ელაპარაკებოდა ლენინგრადის საგუბერნიო სასამართლოს პროკურორს ინჟენერი ვასილ რუსინი. იმ დროს, როცა თბილისის სისხლის სამართლის მილიცია გაფაციცებით დაეძებდა მას ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში.

ვინ იყო რუსინი?

ვასილ რუსინი იყო „ცენტროპრობიზოლი"-ს „კომივოიაჟორი" ამიერ-კავკასიაში. „ცენტროპრობიზოლი" არის ტრესტი, რომელიც ამზადებს ბოთლების საცობებს („პრობკებს") და ამგვარ მასალებს.

მუშაობდა რუსინი ამ თანამდებობაზე 1923 წლიდან.

როგორ მიდიოდა მისი მუშაობა არავინ იცოდა, სანამ სარევიზიო კომისია არ დაინიშნა ინსპექტორ მეკლის თავმჯდომარეობით.

5000 მანეთი „გაიმასქნებული" აღმოაჩნდა რუსინს.

მეორე სარევიზიო კომისიამ კიდევ მეტი დანაკლისი აღმოაჩინა. მაგრამ ამ კომისიის მუშაობის დროს რუსინმა დაჰკრა ფეხი და გაქრა სადღაც.

გასულ წელს რუსინმა თავი ამოჰყო, როგორც ზემოდ ვსწერდით, ლენინგრადის საგუბერნიო სასამართლოს პროკურორთან.

პროკურორმა ჩვენკენ აალებინა გეზი რუსინს.

ჩამოსული არ იყო რუსინი თბილისში, რომ მეორე საქმე აღიძრა მის წინააღმდეგ.

თურმე რუსინი „ცენტროპრობიზოლის", კომივოიაჟორობასთან ერთად „ათავსებდა" „უირტრესტ"-ის წარმომადგენლობასაც ამიერ-კავკასიაში.

„უირტრესტს" გამოუგზავნია მისთვის გასასაღებლად ერთი ვაგონი საპონი. საპონს „გაადინა ქაფი" რუსინმა და 2735 მანეთი იჯიბა.

რუსინი დაპატიმრებულია.

საქმე გაირჩევა თბილისის სამაზრო სასამართლოში.

**„ქალად ნაცნობი"**

ივანიძის ქალი მიდის პურის საყიდლად. საღამოს შვიდი საათია.

— სად მიდიხარ?

— თქვენი რა საქმეა?

— მინდა გავიგო...

—მე თქვენ არ გიცნობთ და არც მსურს თქვენ ანგარიში ჩაგაბაროთ.

— როგორ არ მიცნობ. გახსოვთ ბი იმ დღეს ამა და ამ ადგილას... მოქალაქე ალექსანდრე ცურინოვმა ხელი ჩასჭიდა ქალს.

— მომშორდი აქედან! „იდიოტ"!—გაითავისუფლა ქალმა ხელი.

— ვინ არის „იდიოტი"?

ცურინოვი არ სცხრება გაღმა ედავება.

— წამოდით, მე თქვენ პასუხს გაგებინებთ ამ სიტყვისთვის.

ქალი სტირის.

მოცვივდებიან წითელ არმიელები მისაშველებლად. ცურინოვი იგინება. მილიციელის დანახვაზე მთვრალი ცურინოვი კიდევ უფრო უმატებს გინებას.

ცურინოვს აპატიმრებენ.

საქმე გადაეცა სამორიგეო კამერას.

ცურინოვს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვის ვადით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ეს დანაშაული პირველია ცურინოვის ცხოვრებაში და სასჯელი პირობითად შეუცვალა. ორი წელი დაუნიშნა ცურინოვს გამოსაცდელ ვადათ.

**ზერ.**

# სატელეფონო კავშირის გაუმჯობესება

თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ფოსტა - ტელეგრაფის კომისარიატის სატელეფონო ქსელის გამგე ინჟ. **კორობოვი.**

ინჟ. კორობოვმა გამოიკვლია სატელეფონო საქმის მდგომარეობა ამიერ - კავკასიაში. რადგან ბაქოს და თბილისის სატელეფონო სადგური ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ ახლო მომავალში სათანადო ორგანოების წინაშე აღძრული იქნება როგორც ბაქოს, ისე თბილისის სატელეფონო სადგურის გაფართოების საკითხი.

რაც შეეხება თბილისს - ბათომს შუა სატელეფონო მაგისტრალის გაყვანის საქმეს, მუშაობა დროებით შეწყვეტილია და განახლდება ამინდის გაუმჯობესებისთანავე.

# როგორ შოულობენ ფართალს კერძო ვაჭრები

გუშინწინ საღამოს თბილისის მუშკოოპთან შესდგა მუშკოოპის თანამშრომლების და სადუქნო-საკონტროლო კომისიების წევრთა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო საბჭოთა-სავაჭრო მუშაკების კავშირის ინიციატივით.

თათბირის დღის წესრიგში იდგა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ შოულობენ კერძო ვაჭრები ფართალს.

მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ტერ-ოგანეზოვი, რომელმაც აღნიშნა, თუ რა გზით გადადის ფართალი კერძო ვაჭრების ხელში. მომხსენებლის თქმით, კერძო ვაჭრები საქონელს იძენენ არა მარტო საფეიქრო სინდიკატისაგან, რამედ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებიდანაც. საქონელს ისინი იძენენ აგრეთვე გადამყიდველების საშუალებითაც, რომელთა ძირითად კადრს წარმოადგენენ უმუშევრები.

მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათი ცხოველ ხასიათს ატარებდა. მასში მონაწილეობა მიიღო თხუთმეტზე მეტმა კაცმა.

კამათში აღინიშნა, რომ საქონლის გადაყიდვას აწარმოებენ არა მარტო უმუშევრები, არამედ კოოპერატივის ისეთი წევრებიც, რომელთაც იხარებლეს გრძელვადიანი სესხით. ისინი თავის ორდერებს უყიდებენ კერძო ვაჭრებზე.

საქონლის კერძო ვაჭრებისათვის მიყიდვაში ზოგიერთებს ბრალს სდებენ ნოქრებს, რომლებიც, სარგებლობდენ რა სადუქნო კომისიის წევრის მაღაზიაში არ ყოფნით, ფართალს აძლევდნენ კერძო ვაჭრებს. ასეთ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა მუშკოოპის ცენტრალურ მაღაზიაში.

გამოირკვა, რომ ამჟამად საქონლის გადაყიდვის შემთხვევებს ადგილი აღარ აქვს.

საერთოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლამ გამოააშკარავა მუშკოოპის ზოგიერთი მტკივნეული მხარეები, რომელთაც ადგილი აქვთ მის მიერ მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების საქმეში.

# რადიო-გადაცემა

დღეს, 23 თებერვალს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: წითელი არმიის სახლის საზეიმო გახსნის ტრანსლაცია მოსკოვიდან (საღამოს 6 საათიდან).

# ოფიც. განყოფილება

## დადგენილება № 3

**საქართველოს ს. ს. რ. შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა**

**1928 წ. თებერვლის 22**

**„25 თებერვლის სავაჭრო წარმოებაში მუშაობის და ვაჭრობის წესის შესახებ".**

საქართველოს ს. ს. რ. შრომისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. 25 თებერვალს ვაჭრობა აღკრძალულ იქნეს ყველა სავაჭროებში.

2. ვაჭრობის წარმოება დაშვებულ იქნეს კოოპერატიულ ორგანიზაციების ყველა სასადილოებსა და სურსათ-სანოვაგის და გასტრონომიულ მაღაზიებში და აგრეთვე რძისა და რძის ნაწარმოებისა, რომლებსაც ატარებენ ქუჩებში.

**შენიშვნა:** იმ ადგილებში, სადაც კოოპერატიული ორგანიზაციები სურსათ-სანოვაგით სავსებით ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას, ვაჭრობა დაშვებულ იქნეს კერძო სავაჭროებში.

საქართველოს შრომის სახ. კომისარის მოადგილე **ი. ჭელიძე.**

საქ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი: **ბერია.**

შრომის დაცვის განყ. გამ. მოადგილე: **სოხანაშვილი.**

შეთანხმებულია ს. პ. კ. ს. ბ. **მაჩაიძე.**

# იურიდიული დახმარება

**სტუდენტებს—ეფრემიძეს, კოდებაგიძეს და სხვა**

**კითხვა:**

ჩვენ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, ვცხოვრობდით ვერის ბაღებში (ლენინის ქუჩა № 84), რომელიც ვიქირავეთ მოიჯარადრე ვანო მარტიაშვილისაგან 1926 წ. დეკემბერს. ამ ბაღებში ალმასკომი აწყობს ზოოლოგიურ ბაღს. მოიჯარადრე მარტიაშვილი დააკმაყოფილა ფულით იმ პირობით, რომ მას უნდა ჩაებარებია ალმასკომისათვის ბინები თავისუფალი. ახლა ალმასკომი ადმინისტრატიული წესით გვასახლებს ბინებიდან. აღსანიშნავაა ის გარემოება, რომ, მოიჯარადრეს არ ქონია უფლება, რომ ბინებში მდგმურები ჩაესახლებია. ეხლა ვრჩებით უბინაოთ ამ ზამთრის პერიოდში. ვართ უმუშევარნი, პროფკავშირის წევრები და ღარიბი გლეხის შვილები, როგორ მოვიქცეთ, ან ვის მივმართოთ?

**პასუხი:**

მუნიციპალიზაციაქმნილ შენობის მოიჯარადრეს, სამოქ. სამ. კოდ. 168 მუხლის თანახმად, არ შეეძლო მოექირავებია თქვენთვის ოთახები აღმასრულებელ კომიტეტის დაუკითხავად. ვინაიდან დადებული მოიჯარადრესთან ხელშეკრულება გაუქმებულია, აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია გამოგასახლოს თქვენ, მხოლოდ სასამართლოს წესით.

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 23 თებერვალს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება ქალაქის ძველ და ახალ მოწვევის **დელეგატქალთა საერთო რაიონული კრება.**

**საქართველოს კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება** წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს, 23 თებერვალს დილის სრულ 9 საათზე საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი ნომერი 9) ამხ. თარხანოვთან.

ალექსანდრე სერგოსძე ქათამაძე; ნოე ერმოლოზის ძე ფოფხაძე; ქეთევან ცაგარელი; იუსტინე ნესტორის ძე ნადარეიშვილი; ალექსანდრე თედორეს ძე კულიაბინი; ალექსანდრე სერგოს ძე სარქისოვი; მარიამ ალექსანდრეს ასული სუკიასოვა; ლევან ავეტის ძე ვართანოვი, გიორგი დავითის ძე დავთიანი; სილივესტრ ივანეს ძე ხარჩილაძე; გიორგი მიხეილის ძე მათიაშვილი; პეტრე გალუსტის ძე დოვლათბეკოვი; არმენ ალექსის ძე ტორჩიანცი; ალექსანდრე თედორეს ძე ვოლკოვი; ვარლამ ბესარიონის ძე ჩიტიძე; ასატურ კარაპეტის ძე მაგლაბიანი; ტიგრან ბაღდასარის ძე ხუციშვილი; არტაშ თადეოსის ძე მურადოვი; ჰოანეს ავეტისეს ძე ავაქიანი და ივანე ანდრიას ძე კალესნიკოვი.

**საქართველოს კომუნ. პარტ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი** განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს ორი დღის ვადაში გამოცხადდენ საქართველოს კომ. პარ. (ბ) თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი ნომერი 10) ამხ. კვირიკაძესთან:

ვაგან იოსების ძე პიტოევი; დიმიტრი ალექსანდრეს ძე ჯალიაშვილი; ალექსანდრე იაგორის ძე ხერხეულიძე; ილია ლავრენტის ძე კილაძე; ნესტორ ივანეს ძე ესაკია; ალექსანდრე ივანეს ძე დუმბაძე; იაკობ ირაკლის ძე კატანოვი; კირილე ბიჩის ძე ჩხარტიშვილი; ალექსანდრე იოსების ძე დუდუჩავა; ალეკპერ ალის ძე გეიდაროვი; ლაზარ ისაკის ძე ფიშერი; მუშეგი კონოვის ძე ალავერდიანი; დავით ივანეს ძე ვაშაკიძე; სერგო ივანეს ძე ამაღლობელი; აკაკი თედორეს ძე კახაძე; ვასილ კაპიტონის ძე ანთიძე; ცალი მიხეილის ძე ბელენკი, აკაკი მაქსიმეს ძე ჰყონია; მიხეილ მიხეილის ძე ხრისტოლიუბოვი; ჰოანეს მირზას ძე ოსიპოვი; გრიგოლ ქრისტეფორეს ძე ბაბაევი; ნიკოლოზ მალაქიას ძე ცხაკაია; ანდრია ექვთიმეს ძე კვაჭაძე; ნიკოლოზ ივანეს ძე კალატოზოვი, ალექსანდრე თეოფანეს ძე ნადირაძე; ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძე; სიმონ ასლანის ძე გოდაბრელიძე; იოე ვლადიმერის ძე ჯინჭარაძე; სამსონ ალექსანდრეს ძე ოჩიგავა; ვლადიმერ ფილიპეს ძე მაქსიმოვი; ივანე ალექსისძე ტარასოვი; ვაგან ნიკოლოზის ძე მუსაელიანი; გრიგოლ თედორეს ძე თარხანოვი, ქრისტეფორე ავეტის ძე სეროპიანი, ელიზბარ ასლანის ძე კალანდაძე; ტროფიმე ივანეს ძე ლიტვიშკო; იაკობ ვულფის ძე ქესტიანიკოვი; მარე ვლადიმერის ძე დიანდო; ალიოზ ალიოზის ძე რონზანი; სტეფანე მიხეილის ძე აკიმოვი; გიორგი გერასიმეს ძე სალუქვაძე; ფილიპე მანუჩარის ძე ჰანტურია; ალექსანდრე დიმიტრის ძე კორცხია; ივანე კუზმას ძე გურინი; ანდრია ეგნატეს ძე სუდორეგინი; პიმენ ივანეს ძე სოხაძე; კონსტანტინე საბას ძე ვაშაკიძე; ეპიფანე ალექსანდრეს ძე სიამაშვილი; ალექსანდრე ექვთიმეს ძე სტურუა; შალვა პეტრეს ძე სალდაძე; ილია სიმონის ძე შონია; კალისტრატე კირილეს ძე გველესიანი; კორნეი ფროლის ძე ფედოტოვი; გიორგი ვასილის ძე მონტინი; ამოტ გერასიმეს ძე სარქისოვი; ნიკოლოზ ექვთიმეს ძე რედკოზუბოვი; პავლე პეტრეს ძე რიაბენკოვი; მაკარი მოსეს ძე გურშტეინი; ალბერტ ემანუილის ძე კიზლერი, ლევან დავითის ძე ხახანიანი; ელიზბარ გიორგის ძე ხუციშვილი, ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ქუთათელაძე; ათანასე ლევანის ძე ესაკია და მიხეილ ვასილის ძე ჩუკაევი.

---

ღრმათ დამწუხრებული დედა მარიამი (ფუცუ), [illegible] დავითის-ძე, რძალი ელენე და ძმისწული თინიკო ხომლარიძე ამით იუწყებიან ძვირფასი და საყვარელი

**შურა დავითის ასული**
**ხოშტარიას**

უდროოთ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება კვირას, 26 თებერვალს, ვერის ახალ სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე სალ. 6 საათზე, გამოსვენება დღის 1 საათზე, საკუთარი ბინიდან ტროცკის ქუჩა № 10. 1573

---

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნადე დავით ანჩაბაძის ასული, შვილები: დიმიტრი, ალექსანდრე, რუსუდანი; ძმები: მიხეილი და სიმონი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი საყვარელი

**დავით დიმიტრის-ძე მიქელაძის**

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 23 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე სოფ. კულაშში. 1572

---

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე თებრონე ნიკოს ასული მეგრელიშვილისა, შვილები: ისიდორე, ნიკოლოზ, ანდრო ფილიპეს-ძე მეგრელიშვილები, ქალიშვილები: ნინა ფილიპეს ასული ხეთერელისა, ოლია ფილიპეს ასული ჭუმბურიძისა, სიძეები: ილია ივანეს-ძე ხეთერელი, აგაბო ლავრენტის-ძე ჭუმბურიძე, რძლები: ლუბა დიანოსის ასული და კლავდია ალექსანდრეს ასული მეგრელიშვილებისა, შვილიშვილებით: მიხეილ ილიას-ძე და თინა ილიას ასული ხეთერელნი და სხვები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ კვირას, 26 თებერვალს, 1928 წ. 10 საათზე ქ. ქუთაისში საფირჩხიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ერთი წლის გარდაცვალების აღსანიშნავათ

**ფილიპე გლახუას-ძე**
**მეგრელიშვილის**

665

---

თბილისის ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება მწუხარებით იუწყება განყოფილების იშვიათი მუშაკის და დამსახურებულ სანიტარულ ექიმის

**ალექსანდრე გიორგის-ძე**
**კიზირიას**

ა. წ. 20 თებერვალს უეცრივ გარდაცვალებას. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყოფ. მიხეილის) 24 თებერვალს, პარასკევს დღის 3 ნახ. საათზე, დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ.

---

თებერვლის 20-ს უეცრად გარდაიცვალა

ექიმი **ალექსანდრე გიორგის ძე**
**კიზირია**

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მეგობრები მისი: დიომიდე ალექსანდრეს-ძე თოფურიძე, დავით დიმიტრის-ძე მგელაძე, სერგო ლევანის-ძე დოლობერიძე, ტიხონ ალექსის-ძე ასათიანი და პორფირე იულონის-ძე დგებუაძე. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოდან (ყ. მიხეილის) პარასკევს, თებერვლის 24-ს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. (ე)

---

გულდათუთქულნი და თავზარდაცემულნი მეუღლე ნატალია, ძმა გრიგოლი, დები: კლეო, ციროუ, ლიდა, ძმა მამია შავდიები, ცოლისდები: თამარა და მეგრელა გუგუშვილები, სიძე იასონი ფოჩხუა თავის შვილით გივით, ბიძები: თომა და ბიქტორი კეშელავები თავისი ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რომ უდროოდ დაკარგულ

**ბიჭიკო გრიგოლის-ძე შავდიას**

მეორმოცე დღის თავზე შაბათს, 25 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე ქ. ფოთში ნახუტურის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 1571

---

საქართველოს საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობის თანამშრომლები ამით იუწყებიან თანამოსამსახურე ამხ. ვარლამ ჯანაშიას მეუღლის

**ქენია ლუკას ასულის**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ხუთშაბათს, 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე საკუთარი ბინიდან, ელბაქიძის დაღმართი № 3. 1568

---

შორაპნის რკინის გზის სკოლის პედაგოგიური საბჭო და მოწაფეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 20 თებერვალს, დაბა შორაპანში ტრაგიკულად გარდაიცვალა პირველთა საყვარელი მოწაფე და მეორეთა ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი მე-6 ჯგუფის მოწაფე

**გიორგი (ჟორჟიკა) პლატონის-ძე**
**ლალიძე**

ცხედრის გამოსვენება მოხდება 23 თებერვალს, ხუთშაბათს 3 საათზე № 4 სახაზინო ბინიდან. 1570

---

თავზარდაცემული მეუღლე ვარლამი გიორგის-ძე, შვილები: ლონდა და ლამარა, დედამთილი ანა, მაზლები: გრიგოლი მეუღლე ოლღათი და კოლია ჯანაშიები ამით იუწყებიან ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ საყვარელი

**ქენია ლუკას ასული**
**პატარაია-ჯანაშიას**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ხუთშაბათს, 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, საკუთარი ბინიდან, ელბაქიძის (ყ. ვერის) დაღმართი № 3. 1567

---

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: ამბერკი, ლავრენტი და მიშა მაჭავარიანები; ქალიშვილი ნინო აბაშიძისა; რძლები: ნატალია, ეკატერინა და ბაბილინა მაჭავარიანებისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა. წ. 21 თებერვალს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი მამა

**იოსებ გიორგის-ძე მაჭავარიანი**

გამოსვენება მოხდება 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, კამოს სახელობის საავადმყოფოდან (დიდუბეში), საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ სადგურზე, დაკრძალვა მოხდება სოფ. ბორში, შორაპნის მაზრა. 1569

---

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი: მშობლები—ლუკა და ნადია, ძმები—ნიკოლოზი მეუღლე თეკლათი და შალვა, დები—ნინა და ვალენტინა, ბიძაშვილი პეტრე პატარაიები ამით იუწყებიან ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ქენია ლუკას ასული**
**პატარაია-ჯანაშიას**

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ზუგდიდში. გამოსვენება ხუთშაბათს, 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, საკუთარი ბინიდან ელბაქიძის (ყოფ. ვერის) დაღმართი № 3. 1567

---

ღრმა მწუხარებაში მყოფი ვლადიმერ (ვალოდია) მათეს-ძე თენიეშვილი, ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმ პირთ, ვინც პირადი დასწრებით და დეპეშის გამოგზავნით პატივი სცა ჩემი საყვარელი მეუღლის

**დარიკო (დარია) ივანეს ასული**
**თენიეშვილის**

ცხედარს. ნ. 671

---

ღრმა მწუხარებაში მყოფი მშობლები: მამა გიორგი, დედა მატრონე; დები: ივლიტა, ალექსანდრა, ნადია, ვერა, ნინა და მარია, სიძეები: ბაგრატ, ტარასი, ნესტორი; ბიძები: ისეფი და ჯაბულო; ბიცოლები: ივლიტა და ანა, ბიძაშვილები: შალვა და გრიგოლ თავის მეუღლებით სონა ნინა და ნინა თავის მეუღლებით, ნატაშა, პისტი და ლიუდი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა. წ. 11 თებერვალს, მიხეილის საავადმყოფოში მოულოდნელად გარდაიცვალა დედ-მამის ერთად-ერთი ვაჟიშვილი სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტი

**გრიშა (გრიგოლ) გიორგის-ძე**
**სიხარულიძე**

რომლის დაკრძალვა მოხდა 19 თებერვალს, კვირა დღით საათის 12-ზე, გურიაში დაბა ჩოხატაურში თავის საკუთარ ბაღში. ნ. 664

---




ნ. 429 25—14

| | | |
|---|---|---|
| აპოლო | პრემიერა „50.000 ფრანკი" ხ. ხაიაკავას მონაწ. | |
| არფასტო | გრანდიოზული ფილმი (სვლა ცხენით) მგლების საგზაური | |
| სოლეი | ბესტერ კეიტონი ახალ მსოფლიო ფილმში ბნედიანი | |
| დარბაზი | „სპიდ" მე-3 და 4 სერია ერთად | |
| ოდეონ | მხატვრული ფილმი „მონასტრის კედლებში" იანოვას და სტრიჟევსკის მონაწილეობით | |
| პროლეტარი (ავლაბარში) | „კაცი რესტორანიდან" | |

სახელმწიფო კინო (vertical side label)

ახლოხსი მალე საუკეთესო კინოებში „ბრძოლის და გამარჯვების დღეები" 0—17

**სახელმწიფო ოპერა** ნ. 662

დღეს, 23 თებერვალს, **მაზეპა**

დადგმა ა. ეიხენვალდის

მონაწ. **სლივინსკაია, ვოლჩანეცკაია, აგრანოვსკი, ორლოვი, მესნიაევი, დემიანენკო, მოლჩანოვი.**

დირიჟორი **მელიქ-ფაშაევი.**

**მალე**

საუკეთესო კინოებში „გოსვოენკინოს"

საიუბილეო ფილმი

**„ბრძოლის და გამარჯვების დღეები"**

**5 თავი წითელ არმიის ისტორიიდან**

თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს

ნ. 667

**ექიმი ნ. ტურიაშვილი**

იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალური სნეულებებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის)

**ექიმი ი. ი. ჭეიშვილი**

**სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.**

იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდიმთავრის ქ.)

**მათემატიკის მასწავლებელი**

ამზადებს სამხედრო აკადემიაში. უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედის მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენა და არითმეტიკის გაკვეთილები თვითგანვით. პლეხანოვის ქუჩა № 25. მიღება 9—12 2—6 ს. 1521 3—1

**მიხეილ გედევანიშვილის** სახელობის **სამკურნალო** ხაწილებით **ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი**

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

**ექიმი მეზრაბიანცი**

ფილტვების ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა

ხელოვნური მთის მზე. იონნოტერაპია. მიღება ყოველდღე დილის 9—1 და საღ. 6—8 საათზე.

ენგელსის ქ. № 23. (ყოფ. ბებუთოვის) 25—1

**ლეჩხუმის მაზრის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი პ. გოლეთიანი**

ამით აცხადებს, რომ 1928 წლის 28 თებერვალს ქ. ცაგერში ლენინის ქუჩაზე დილის 11 საათზე შესდგება **საჯარო ვაჭრობა** ბესარიონ ბენდელიანის და დავით სალინაძის დაუმთავრებელი ორსართულიან სახლის გასასყიდად; სახლი დახურულია ყავრით, აგებულია საეზოვე მიწის ნაკვეთზე, ზომით 77,72 კვ. საჟენი, შეფასებულია ათას მანეთად (1000) მან. სახლი იყიდება ცაგერის თემ-აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად. ვინც ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებს უნდა წარმოადგინოს საწინდარი 10 პროც. და ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდექსში. 1574

**მანგლისის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი თ. ა. დანელია**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 4 მარტს **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დ. მანგლისში სავაჭრო მოედანზე, ორ ცხენს, შეფასებულს ორთავეს 200 მანეთად, რომელიც ეკუთვნის მცხ. სოფ. „ბუდიონოვკაში" სერგო იპატის-ძე კუზნეცოვს და იყიდება თანახმად აღმოსავლეთ საქ. ოლქის სასამართლოს სისხ. სამ. განყოფილების მიერ გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა № 12692-სა, მანგლისის დამზღვევ სალაროს სარჩელის დასაკმაყოფილებლად. ვაჭრობა დაიწყება დილის 11 საათიდან. ნ. 663

**ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი**

პლეხანოვის პროსპ. № 10

სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს,** და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს ..—8 საათამდე. 13—1

**ექიმი ს. ი. ანდრეევისა**

ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ელსმენი 11—78 13—1

**თვალის საავადმყოფო**

მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ღებულობენ ექიმები

**ა. ნ. შატილოვი**

საოპერაციო დღეებში

**ა. ზ. მალაევი**

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფების მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90 25—1

**ა. ვ. მიქაბერიძე**

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

**„სილამაზის ინსტიტუტი"**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

**ექიმი ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**

ავადმყოფების მიღება ფსიქოთერაპიის დარგში: სქესობრივი აშლილობა, მავნე ჩვეულებები, უძილობა და სხვ. საღამოს 5—8 საათ. დილის 11—1 საათ.

**სპეციალურად სიფილისით** ავადმყოფების მიღება საღამოობით, დანიშნულ დროს საბჭოთა ქ. № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ყორესის ქუჩა (ყოფ. კირკის) კუთხე. 25—1

**ექიმი ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

**მედიც. დოქტორი ზ. ა. ახვერდოვი**

**ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.**

დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

**ექიმი ი. პ. მჭედლიშვილი**

**შინაგანი სნეულებანი**

სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 საათ. სანაპირო ქუჩა № 7 (ყ. ნაბერეჟნაია) ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02 25—7

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

**ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილ[illegible] და კანის ავადმყოფობა**

დილით 9—1 საათ.. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა" ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 3. 25-1

**ექიმი მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი. ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღამოს 7—8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 4—82.

**დავკარგე:** პირადობის მოწმობა № 1303 მოცემული ქ. ხონის აღმასკომის მიერ და ქ. ჭიათურის საშთომადნო კავშირიდან მიღებული წიგნაკი დათიკო ბახტაძის სახელზე, ნ. გ. ნ. 666

**დავკარგე:** საწევრო წიგნაკი № 565 გაცემული ფოთის სატრანსპორტო კავშირის მიერ სოკრატ ალექსის ძე ტყეშელაშვილის სახელზე, ნ. გ. ნ. 668

**დავკარგე:** სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი გაცემული ფოთის სამხედრო მაგიდის მიერ იოსებ ოქროპირისძე ბუაძეს სახელზე, ნ. გ. ნ. 668


პოლიგრაფტრესტის მე-1-ე სტამბა, კამოს ქ. № 64